პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტარტაროზი

ფასი 10 კოპეек 1925

№ 54 || კვირა 27 ივნისი, 1926 წ. || № 54

## ჭკუასთან ახლოს



— ყოჯორში მიდიან ავტოთი სასეირნოთ.. მომჭირ-
კომმა თუ დაინახა, ვაი მათი ბრალი..
— ის კი არ ვიცი!—და ეს კი ჩვენი მომჭირკომია.

# ლევარსი როხროხაძე

ვინაიდან ჩემი სიკვდილით, რომლის შესახებ ცნობა მე [illegible] გამოვაქვეყნე გასულ კვირას, მთელი ხალხი დამგლოვიარებულ-დამწუხრებული იქნება, რაშიაც მე ეჭვი არ შემდის, რადგან მე ვიცი, რომ ხალხს ·ისე უყვარდი, როგორც საკუთარი თავი, ამიტომ ჩეკის სარდაფიდან, სადაც მე სულ რამოდენიმე დღეა რაც ვიმყოფები, ვიწერები ამ წერილს და ვსთხოვ როგორც „ტარტაროზი"-ს რედაქციას, ისე ზმუკს, ეს წერილი გამოაქვეყნონ და მით დაამშვიდონ აფორიაქებული საზოგადოება, რომელსაც მე მკვდარი ვგონივარ და, სინამდვილეში კი, ვზივარ ჩეკაში, სადაც არც ისე ჯოჯოხეთი ყოფილა, როგორც გარედ ამბობენ, მაგრამ სადაც, სიმართლე რომ ვსთქვათ და არავის მოვერიდოთ, არც ისე კარგია, როგორც ეს, ალბად, ჩეკის მოხელეებს ჰგონიათ, რაც სჩანს იმიდან, რომ მათთვის არაფერია ადამიანის აქ მოთავსება, თუმცაღა არც ის შეიძლება ითქვას, რომ ჩეკა საჭირო არ არის (რაშიაც მე დავრწმუნდი აქ ყოფნის დროს), თუ ყველასთვის არა, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთებისათვის მაინც, რომელთა შორის, რასაკვირველია, ამას ბევრი გამოკვლევა და ყოყმანი არ უნდა, მეც ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ეხლა, სულოცოდვილო, კი არ მინდა აქ ყოფნა, მაგრამ რას ვიზამ, აწი რა დროსია, როცა კარები გამოკეტილი მაქვს და ყარაული თოფით ხელში არ შორდება ფანჯარას, საიდანაც შემოდის სინათლე, რომელიც ერთად-ერთი ჩვენი სიხალისეა, თორემ სხვა, ნუ გეშინია, არავინ არის ჩვენი გამკითხავი თუმცაღა, სულოცოდვილო, ხანდახან ვილაცები მოდიან და რაღაცებს გვიგზავნიან, რაც ჩემთვისაც სასარგებლოა, რადგან მეც მინაწილებენ, თორემ ამდენხანს როგორ მოვაწევდი ცოცხალი რომელსაც ჭამის მადა უფრო დიდი მაქვს, ვიდრე გარედ ყოფნობის დროს, თუმცაღა არც გარედ ვყოფილვარ პატარა მჭამელი, რის დასამტკიცებლად შემიძლია მოვიყვანოთ მაგალითი, რომელიც მოხდა ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ რა საჭიროა მაგალითი, როცა, მე მგონია, ყველამ იცის ეს ამბავი და, თუ არ იცის და ისეთი ვინმე კი არის, იმისათვის არც ეხლა იქნება საინტერესო, და ამიტომაც მე ამის შესახებ არაფერს ვამბობ, მით უმეტეს, რომ, ცოტა არ იყოს, სიტყვა გამიგრძელდა და გამიჭიანურდა და, რაც მთავარია, ის კი მგონი უთქმელი მრჩება, თუმცაღა, არა უშავს,—მაინც მოვასწრებ თქმას, რადგან ჯერ კიდევ ბევრი დრო მაქვს და, რა მენაღვლება,—ვილაპარაკებ, მით უფრო, რომ ერთად-ერთი ჩვენი გართობა ეს არის, თორემ სხვა, ნუ გეშინია, ვერსად გაისეირნო და ვერაფერი ნახო, რადგან ძალიანაც რომ გინდოდეს, გარედ გამშვები არავინ არის მაინც, და ამიტომ სრული დარწმუნებული ამაში, ჩვენც აღარ ვხლაფორთობთ ამის შესახებ და ვართ დამშვიდებული.

თბილისიდან მეორე მატარებლით წავედი. სამტრედიაში როცა ჩავიდა მატარებელი, სადგური სავსე იყო ადგილობრივი ქალებით. მე გამიკვირდა და ვიკითხე:

— ნეტა დღეს რა დღეობა არის, რომ ამდენი ქალები გამოსულა სადგურში?




და სამტრედიის ნაცვლად—ასმტრედია დავაწერე.

— აქ ყოველთვის ასეა.

— რა საუცხოვო არიან; ყველა ლამაზებია,—გავიფიქრე და ვაგონიდან სადგურში გადავედი.

თვალი მოვკარი წარწერას: **სამტრედია**... დავფიქრდი...

— ალბად, როცა პირველად ეს სადგური ააგეს, მაშინ აქ ასეთი მოძრაობა, ასე ბევრი უსაქმო ქალები, არ იქნებოდა... ალბად, **სამ ტრედია** იმიტომ უწოდეს, რომ მარტო სამი ქალი დასეირნობდა აქ მაშინ... ქალი ხომ იგივე მტრედია... ქალს ხომ ალერსით მტრედს უძახიან...

— ჩემო მტრედო,—ასე ეუბნება ქმარი ცოლს...

ჰო-და ეხლა კი სამი ·კი არა, ათასიც იქნება აქ ქალები... ამ სადგურის სახელი: **სამტრედია** უნდა გამოიცვალოს, ნაცვლად **სამისა** უნდა დაიწეროს თუ ათასი არა, ასი მაინც...

მეც ასე მოვიქცევი. ხაზი გავუსვი, წავშალე **სამტრედია** და მის მაგიერ დავაწერე: **ასმტრედია**. ჯერ ასე იყოს... როცა კიდევ მეტი უსაქმო-მოსეირნე ქალები გამოვლენ აქ, მაშინ შეიძლება კიდევ მომატება ათასმტრედია... მილიონმტრედია...

გვარიანად კიმგზავრე.

როცა ბათომში ჩავედი, საღამომდე ქალაქში დავიცადე. საღამოს კი საზღვრისაკენ გავსწიე, რომ ოსმალეთში გადავსულიყავი და იქიდან კი—ევროპაში გავიდოდი.

საზღვრამდე მშვიდობიანად მივედი. ხოლო იქ კი, ცოტა არ იყოს, ცოტა დამცხელა: არავის უშვებდენ. ასეთი სასტიკი ზომები იმიტომ არის მიღებული, რომ იქიდან კონტრაბანდი გამოაქვთ.

მე მივიმალე ერთს ბუჩქში და მოხერხებულ დროს ველოდები იქით გადასასვლელად.

ვზივარ ბუჩქის ძირად და ქე ვარ მწყერსავით განაბული.

დავეწიე ჩახმახს და უკან დავაბრუნე.



— ეს ბუჩქი მეცნობა. ნეტა სად მინახავს... აჰა, უწინ „ახოდობაზე" აქ, ამ ბუჩქის ძირში ვისხედი თოფით ხელში და კონტრაბანდისტებს ვიჭერდი... აჰა, ჩიბუხი რომ დამეკარგა მაშინ, ახლა ვნახე... უყურე: ჩიბუხში თუთუნიც და ცეცხლიც არის; მას შემდეგ კიდევ არ ჩამქრალა—

და მე გავაბოლე ჩიბუხი, მაგრამ სწრაფად მომაგონდა, რომ: შემნიშნავდენ,—და ცეცხლი ჩავაქრე ჩიბუხში.

მე მომაგონდა ერთი ამბავი, როცა მე აქ, ამ ბუჩქის ძირად ვყარაულობდი:

უცბად მომესმა რაღაც ფაჩუნი. ყურები ვსცქვიტე... შორს რაღაცა მოსჩანს სიბნელეში. მაშინვე თოფი მოვიმარჯვე, დაუმიზნე, შევსძახე და ჩახმახიც გამოუშალე და წავიდა ჩახმახი ეზალზე დასაცემად, რომ ამ დროს მომაძახა კონტრაბანდისტმა:

— ბიჭო, არ წახდე ლევარსიავ, არ წეიწყმიდო სული, არ ჩახვიდე ჩემი ცოლშვილის ცოდვაში, და არ მომკლა კაცი. ბიჭო, მე ვარ შენი მეზობელი: ივანიკა მახარაძე—

გავიგონე ეს თუ არა, დავუძახე ივანიკას:

— ნუ გეშინია, ბიჭო; ჩახმახს კი გამოვუშალე, მარა მაინც არ მოგკლავ,—

და, ამ სიტყვებთან ერთად, დავეწიე გამოშლილ ჩახმახს და ისევ უკან დავაბრუნე... გადარჩა. ივანიკა მახარაძე თუ არა, და ისიც ჩემი კაი მეზობელი, თორემ სხვას არ გადავარჩენდი.

# „ტირაჟი“




**ჟასაბი:** (გაზეთზე ხელისმოწერის მიმღებ ქალს): ბარიშნა მადამ, ერთი ათი გირვანქა გაზეთი გამომიწერე...

**ქალი:** გაზეთი ცალობით გამოიწერება, და არა წონით!

**ჟასაბი:** მაშ ჩადი სჩოთქში, თუ რამდენი ცალი უნდა ათ გირვანქას და იმდენი გამომიწერე.

---

ეს ასე იყო... და, თუ ვინმეს არ გჯერათ, შეგიძლიათ თვითონ ივანიკას შეეკითხოთ... საწყალი ივანიკა მახარაძე, კარგი ხანია, რაც მოკვდა...

ჰო-და, როცა ამ ფიქრებში ვარ, დავინახე, რომ ჩემსკენ მოდიან ჯარისკაცები... ავდექი და ისევ გამოვბრუნდი... საზღვარზე გადასვლა არ მოხერხდა.

ედუკი მენატრებოდა. რამდენი ხანია იგი არ მინახავს! მენატრებოდა მეზობლები და სახლში წავედი.

როცა ეზოში ჩავედი, ედუკი აღტაცებული შემომეგება. მას ორი შვილი ჰყავდა; ერთი მკლავზე უჯდა, ხოლო მეორე, უფროსი, დედის კაბას ჩაფრენოდა და, თითქოს ჩემი სცხვენიაო, დედის ზურგის უკან იმალებოდა.

— აი, ასეთი ცოლი გყავარ. რამდენი ხანია წასული ხარ, ოჯახის ამბავს არ კითხულობ... შვილი არ გყავდა და ძირი... ახლა კი, ხომ ხედავ, ორი ბიჭი დაგახვედრე... აბა... შენისანა ცოლი ქვეყანაზე არავის არ ეყოლება.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ედუკი... მართლაც შენისანა ცოლი არავის ეყოლება... ყოჩაღ ქალო, ორი ბიჭი დამახვედრე... აწი რაღა მიჭირს... ყოჩაღ ედუკი—

მიხაროდა და ვეხვეოდი ედუკის. ხუმრობა საქმე ხომ არ არის. ცოლთან ოცი წელიწადი მიცხოვრია და შვილი არ მყოლია... ეხლა კი — ორი ბიჭი მყავს... ორივე მე მგვანან... ნამდვილი მამა არის... „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი ჰგავდეს მამასა“... მგონი ასე ამბობს ანდაზა, და ეს მართალი არის... აწი რა მიჭირს: გამრავლდა როხროხაძის გვარი... გამრავლდა ქართველი... ოჰ, როგორ ვსწუხდი, რომ შვილი არ მყავდა... გმადლობ, გმადლობ, ჩემო ედუკი... ჩვენ პატარა ხალხი ვართ და უნდა გავმრავლდეთ... ნეტა, რამდენი ბიჭია ეხლა საქართველოში?... ორი ჩემი მიემატა!... კარგად არ მახსოვს ,რამდენი მითხრა...

მე ერთხელ, როცა თბილისში ვიყავი, სტატისტიკურ სამმართველოში მივედი მის მმართველთან.

— დაბრძანდით... რას გვიბრძანებთ?

— თქვენ მე კარგად გიცნობთ... არ იფიქროთ, რომ სხვა რამეზე მჭიროდეს... მე დიდ წიგნს ვსწერ მსოფლიო სტატისტიკის შესახებ, თუ შეიძლება, მითხარით: რამდენი ახალგაზრდა ქალია და კაცი საქართველოში? კიდევ ვიმეორებ: ეს მე მჭირია არა სხვა რამეზე... ასე, რომ მე თქვენ არ მოგატყვილებ...

— ჯერ ამის თქმა ჩვენ არ შეგვიძლია.

— ჰო, კარგი... თუ თქვენ უხერხულად გრძნობთ, მაშინ არ მინდა... მეც კარგად ვიანგარიშებ—

და მე გარედ გამოვედი.

მე იმიტომ მინდოდა ეს ცნობა, რომ ამით გავიგებდი და ვიანგარიშებდი ჩვენი ხალხის გამრავლების რიცხვს...

ჩვენ ვართ ორ მილიონზე მეტი. ამ ორ მილიონში გასათხოვარი და ცოლმოსაყვანი იქნება, დაახლოვებით, მეოთხედი, ე. ი. ხუთასი ათასი... ხუთასი ათასი ცოლქმარი; თითეულმა ცოლქმარმა უნდა გააკეთოს, საშუალოდ, ექვსი შვილი... ეს იქნება სამი მილიონი... სამ მილიონს მივუმატოთ ორი მილიონი, იქენბა ხუთი მილიონი... ხუთ მილიონიდან, თუ კი საჭირო იქნება, თუ კი ქალი და კაცი, დიდი და პატარა შეიარაღდება, ერთი მილიონი ისეთი მებრძოლი ჯარი გამოვა, რომ კომუნისტები კი არა, ვერავინ ვერ დაგვიმაგრდება...

ამიტომ ყოჩაღ და ათასჯერ ყოჩაღ ჩემს ცოლს ედუკის....



ცოლი ორი ვაჟიშვილით შემომეგება.

იმ ღამით, როცა დავწევი, ფიქრებმა წამიღეს.

— შენ დამარცხდი ლევარსი... ვერაფერი გააკეთე ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ... შე რა კაცი ხარ?... ევროპაში ვერ გაიპარე... აჯანყება ვერ მოაწყე... ისევ დაუბრუნდი ოჯახს და ყანას... ისევ ძველ უღელში უნდა გეება,—

ასე ჩამძახოდა ვიღაც და მოსვენებას არ მაძლევდა...

მე გადავსწყვიტე სიკვდილი... კიდეც მოვკვდი... მაგრამ დასაფლავების დღეს გადავიფიქრე და გავცოცხლდი...

ეხლა აქ ვარ.. ჩემი სიკვდილ-გაცოცხლების შემდეგ დღეის სწორს მიიღებ დაწვრილებით ცნობებს... ეხლა ესე ცჳმარა საზოგადოების დასამშვიდებლად.

**ლევარსი როხროხაძე.**

**„ტარტაროზი“, ზმუკი და ლევარსი როხროხაძე გულითად მადლობას უხდის ყველა იმათ, ვინც კეთილ ინება და წერილობით, თუ პირადად მწუხარების თანაგრძნობა გამოგვიცხადა ლევარსი როხროხაძის სიკვდილის გამო. აღარ ვათავსებთ სამგლოვიარო წერილებს, ვინაიდან ლევარსი როხროხაძე ცოცხალია და ჩეკაში თავს საუცხოვოდ გრძნობს.**

**ზ მ უ კ ი.**

# „უპლატნენია"

ვა, ვა, ვა! ქრისტიანებო, ბალახათა გაგონილა! ეს ქვეყანა შამფურივითა ტრიალებს და მეც ღორის სუკივით ამ შამფურზე ნელ-ნელა უცეცხლოთ ვიწვი!... კაცო, ეს რა ზაჰრუმალი დრო დადგა! გამართლდა რაღა, გამართლდა კარაბადინში და ეფრემვერდში ნათქომები თუ მავან და მავან წელსაო მეორეთ მოსვლა მოვიდესო... ამაზე უარესი მეორეთ მოსვლა იქნება? ეს საველცკი ვლასტი მეორეთ მოსვლაა, მაშ და ჯანდაბადა დოზანაა!..

კაცო, შენი ალალი ფულით აშენებულ სახლში ქირას იხდიდე, ათადან-ბაბადან ნაქონი იმენიები წაგართვან და გლეხუჭა მუნდრეგებზე ტაბლასავით დაარიგონ შენს საკუთარ საოტებში თითონ ფულები მოიგონ და შენ კი ხმელი პურის ჭამითა ღრძილებს იტყავებდე, ამაზე მეტი მეორეთ მოსვლა?

ეეჰ, ნამდვილად უყისმათო ვარსკვლავზე ვყოფილვართ დაბადებული და რამდენი ხათა და ხლაფორთიც დაგვატყდეს, უნდა გაუძლოთ მეტი რა ილაჯია. ვაჰ ნიკოლოზო, არ მემეტები, მაგრამ წაწყდი და აძაღლდი ჩვენი ამათ ხელში ჩაგდებისათვის რაღა! არა ამ ეშმაკის კერძებია, რა ბალბასავით ფესვები გაიდგეს და! მერე რა ზირთი - ფირთის ხალხია, რეებს არა შვრებიან, ქვეყანა ჰარისასავით არიეს და სულ ჰოპომში ჩავარდნილიყავი!

მოდი თავიდან გიამბობთ ჩემი გულის დარდებსა:

მაგრამ ქვეყანას ჯანი გავარდეს, ნეტავი ჩემი ცოლი სათენიკა არ გადაერიათ და თუნდაც უარეს სოდომში ჩავარდნილიყავი! მოდი თავიდან გიამბობთ ჩემი გულის დარდებსა:

როცა ეს პერევაროტი ქნეს, დუქანი უკვე დაკეტილი მქონდა, რაც შეშვიდი გადარჩა შაქარი, ვიჩინა—პრავიზია რაღა,—სახლში გადავზიდე და იაშიკებში და შკაფებში ჩავალაგეთ. ქალაქში რომ ყველაფერი გამოილია და სახლებში ობისკები დაიწყეს, შიშისაგან ვილეოდი. პუპუზ, ერთ ღამეს ჩვენსაც დააკაკუნეს. გულმა მიგრძნო, რომ ავი ანგელოზი გვეპატრონება. ჯერ გავიტვრინე, მაგრამ, როცა კარების რახუნი დაიწყეს, მე წავილუღლუღე:— ხტო ტამ—მეთქი.

— ატკროი იმენემ ზაკონა,—მე ტროიკა ვარო!

— ტროიკა კი არა, გინდ კარეტა იყავი ამ შუაღამისას რა საქმე გაქვს მეთქი.

ატკროი სკატინა, ბურჟუა, მენშევიკ, სპეკულიანტ, კაკ ტი სმეიშ პრატივიცა, რასხოდ პუშჩუო პულიმეტრივით მამაყარა ამისთანა ასკარბიტელნი რამეები. რას ვიზამდი, კარები გავაღე. მაშინვე სახლში შემოცვივდნენ ძაბრის ქუდიანები და ტყავის კურტკიანები.

— სადა გაქვს პრავიზია გვაჩვენეო! მაგრამ ვის დააცადეს, მთელი ვეშჩები გადმოაქოთესც და რა შეშვიდი იყო, ავტომობილზე დააწყეს. ერთმა რაღაცა ბარათი დასწერა და მომცა, თითქოს დიდი ვექსილი იყო. ბრაზი მახრჩობს ჰამა, რას ვიტყვი, ვხედავ, მკლავის სიგრძეთა ჰკიდიათ ლევროები! ერთიც ვნახოთ, სიფათში არ მოვეწონე და რასხოდი მიყონ, მერე მოდი და ვირი ტალახიდან ამოიყვანე!..

ის ერთი, რომელიც სტარში იყო, მებნება თუ:

— შენ და შენს ცოლს უპლატნენია უნდა გიყოთო. გული გამისქდ ადავიფიქრე, ალბათ უპლატნენია ნასილსტვენი აბესჩესტია არის მეთქი. ვეხვეწები: ღოსპოდინ ბალშევიკ, კაკ საბაკა სლუჟიტ ბუდუ, შენს სიყმეს ვილოცავ, მე რაც გინდა მიყავი, ოღონდ ჩემს ცოლს მაგ უპლატნენიას ნუ უზამთ მეთქი. ბან ჩუნის? გაჯიუტდა, შეჯდა უჯათობის ვირზე და ყვირის: კაკოი ტამ, ორივეს უნდა გიყოთო. ეს მიწაგასახეთქი სათენიკაც სალლასნი გახდა და:

— მიყოს, მიყოს გეოჯან, არა მიშავს რაო.

— ვეებნები თუ დედაკაცო, გიყოს რომელია, ამდენი ხანია ნამუსიანათ გიცხოვრია და [illegible] გიყოს? თავი სადღა გამოვყო...

— ნამუსი რა შუაშია, ოთახები უნდა ჩამ[illegible]ართვასო. ჩვენ კი ორნი ვართ და ერთ ოთახშიც [illegible]ვავეტევითო.

— თურმე უპლატნენია ოთახების ჩამორთმევა ყოფილა! ჰუზურში გამიხარდა კიდეც: ამ დუხჭირ დროში ოთახები რომ აღარ მექნება სტუმრებიც აღარ მოვლენ და რასხოდში არ ჩავარდები მეთქი! ვა, პაჟალუსტა მიირთვით მეთქი.

მეორე დღეს ჩვენი ბარგი-ბარხანა სულ ერთ ოთახში გამოვზიდეთ და რომ არ დაეტია, მე და სათენიკამაც უპლატნენია ვქენით: წინათ თუ თითო კრავოტში ვერც კი ვთავსდებოდით, ეხლა ორივე ერთ კრავოტში ვწვებით და მთელ ღამეს ომი გვაქვს: ცოტა იქით, მიიწი არ გადამაგდოვო, ხან ერთი გავადენთ პოლზე ზღორთას, ხან მეორე!

მაგრამ შავ და უკუღმა ის დღე, როცა ჩემ სახლში უპლატნენია ქნეს რაღა. იმ ბემურაზ ჩვენ კვარტერანტ ბალშევიკთან დაიწყო სიარული ათასი ჯურის ხალხმა, კრებებსა შვრებოდნენ, დაკლადებს აკეთებდნენ და ჩემ ცოლს ყველაფერი ესმოდა: მერე იმათ დაკლადებზედაც დაიწყო სიარული, ვიღაც პრაპაგანდა ქალები გაიცნო და თითონაც მარაქაში ჩაერია.

აი, ეს ოთხი - ხუთი წელიწადია, გადაირია, ქრისტიანო, ჩემზეც გული აიცრუა და ოჯახზეც—ვიღაც კავალრები იშოვა. კლუბებში დადის, მოდნებს აჰყვა, მოკლე კაბა ჩიოცო ჩიტა-კოპი მოიხადა და იმებს შეუკრიჭა. ამ თმის დამოკლებაზე გავჯავრდი და ცრემლები თუ—დედაკაცო. ამ სიბერის დროს რას ასცუნცრუკდა, ახარ მუტრუკივით რომ იკრიჭები, შაგფერის მაგ ხნის მანდილოსანსა მეთქი? დუშმანს, რაც მე იმან დღე დამაყენა:

— ეხლა ის დრო არ გეგონოს, როცა შენ ნებაზე ვეჩშივით მათამაშებდი, ჩვენც ბორკილები დავამსხვრიეთო,—თუ ბევრს ილაპარაკებ, ეხლავე ჟენადელში გიჩივლებო!..

ამას კიდევ ჯანი გავარდეს! ამ ბოლო დროს სულ რაღაც ჩხუბის გუნებაზეა და მემუქრება:—ზაქსში უნდა გაგეყარო, ტირანია ხარო!—ეს ტირანია რაღა დოზანაა ვერ გავიგე! ტირანია კი არა, ბოღმისაგან ისე ჩამოვდნი კაცი, რომ ტარანივით დავწვრილდი და ეს კი აქ ტირანიას მეძახის.

მაგრამ ეს სულ ამ უპლატნენიას ბრალია, იმან გადამირია ეს დედაკაცი. ოჰ, ბალშევიკებო, ამ უპლატნენიას მოგონებისათვის თქვენ დაგექცეთ ოჯახი, როგორც მე ოჯახი დამიქციეთ და შაქარივით ცხოვრება გამიმწარეთ.

ფარსადან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასე იცის

ღამის 12 საათი იქნებოდა, როცა ეტლი მიადგა „არტოს“. ეტლიდან გადმოხტა კოხტად გამოწკიპული გაბო და გადმოიყვანა კოპწია არსება.

„არტოს“ კარებთან უბილეთოთ მდგომი ჯგუფი შეინძრა.

— სახე ძაღლს როგორ გამოწკიპულა! დაიქცეს მაგის ოხერი თავი... გუშინღამ შიმშილით კვდებოდა!

— ჩვენ აქ ბილეთის ფულიც არა გვაქვს, მაგი ეტლით მობრძანდა.

გაბოს ყურადღებაც არ მიუქცევია ამ მუქთახორა საზოგადოებისათვის და „არტო“-ში შევიდა.

თქვენ, ალბათ, ძალიან გაინტერესებთ ამ ახლად გაცნობილ ყმაწვილის ყოველი ნაბიჯი, „არტო“-ში გადადგმული. ძალიან ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ყველაფერი რომ ვთქვა, რაც იმ ღამეს გაბოს „არტო“-ში მოუვიდა, ბევრი გამოვა.

მშვიდობიან მოქალაქეთათვის (იგულისხმება: რეგისტრატორები, საქმისმწარმოებლები, კანცელარიის და საქმეთა მმართველები, მასწავლებლები და, საერთოდ, ის ხალხი, რომელთაც გასაფლანგი არაფერი აქვთ), მშვიდობიანად გათენდა. გაბომ კი ის ღამე მეტად აღელვებულ მდგომარეობაში გაატარა. დამავიწყდა მეთქვა: გაბო არის მოლარე. „არტო“ არის ბაღი, სადაც მოიპოება ისეთი გულუბრყვილო სათამაშოები, როგორიც არის: ნარდი, კარტი (კაზინოში), ლოტო, რულეტკა, პტი-შვო და სხვები.

იმ შესანიშნავ ღამეს გაბო კარგად ჯიბეგამოტენილი შევიდა ბაღში და დილას გამოცალიერებული გამოვიდა. მისი მხლებელი ქალი არსად სჩანდა.

თქვენ, ალბათ, გამოგიცდიათ, თუ როგორი არა სიმპატიური მოვლენაა წყალში დახრჩობა. შეიძლება თქვენ პირადათ არ დამხრჩვალხართ ჯერ წყალში, მაგრამ რომელიმე თქვენი ნაცნობი მაინც გეტყოდათ, თუ როგორია დახრჩობის პროცესი. რამდენად არასიმპატიურია წყალში დახრჩობა, მდენად სიმპატიურია წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენი კაცი.

თბილისში არსებობს: **წყალში დახრჩობის მომწესრიგებელი საზოგადოება** და მას სადარაჯოები აქვს მოწყობილი მტკვრის პირზე, რომ ამით მოწესრიგდეს მოქალაქეთა დახჩობის საქმე.

ჰოდა, როდესაც გაბო მტკვარში გადავარდა დასახრჩობათ; ადრე იყო და თითქმის არავის გაუგია. არ გაუგია ეს ამბავი წყალში დახრჩობის მომწესრიგებელ საზოგადოების მცველსაც, რომელიც, რასაკვირველია, არ არის ვალდებული იცოდეს, ვინ როდის იხრჩობა.

წყალში ჩავარდნილმა გაბომ უცებ წარმოიდგინა დახრჩობის მთელი საშინელება, გადაავიწყდა პირვანდელი მიზანი (დახრჩობის მიზანი) და მოუსვა ცურვას. თან გულში იგინებოდა: „რაღაც დახრჩობის წინააღმდეგ მებრძოლი ხართ“,—ლანძღავდა იგი დამხრჩობ საზოგადოების მცველს,—„გადამარჩინეთ რაღა, ხომ ხედავთ, ჩემისთანა ახალგაზრდა კაცი იხრჩობა“!

„დახრჩობის მცველს“, როგორც ეტყობოდა, არაფერი ესმოდა გაბოს ლანძღვის, იწვა თავის კარავში და ლაზათიანად ხვრინავდა. გაბო კარგა მანძილზე ჩაითრია წყალმა. მან დაკარგა მცველის იმედი და მორთო ყვირილი. ამ ყვირილს ყურადღება მიაქციეს მეეტლეებმა, რომლებიც ცხენებს ბანდენ მტკვარში, და გაბო ადვილად გადაარჩინეს.

გადარჩენილი გაბო ბრაზით აღარ იყო. მეეტლეებს, როგორც იქნა, თავი დააღწია და წყალში დახრჩობის საწინააღმდეგო საზ-ბის სადარაჯოსაკენ გაემართა. მივიდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაუწყო ბრახუნი

— ვინა ხარ,—გაისმა ნამძინარევი ხმა შიგნიდან ნახევარი საათის ბრახუნის შემდეგ.

— მე ვარ, შე ოჯახდასაქცევო! გამოდი გარეთ, კაცი იხრჩობა!—შესძახა სიცივისაგან კბილებაწკაწკავებულმა და გაწუწულმა გაბომ.

— ახლავე მოვდივარ! ვინ არის ამ ღორის ადგომამდე რომ იხრჩობა? კაცს ძილს არ გაცლიან! რა დროს დახრჩობაა ამ ალიონზე?—ბუზღუნებდა დარაჯი.

— ოხ, თქვენ კი რა გითხრათ! მოდი ახლა და ამათი იმედით წამოდი დასახრჩობად. მაშ ეგრე იცავთ თქვენ მოქალაქეთა სიცოცხლეს?—შესძახა მოთმინებიდან გამოსულმა გაბომ.—კაცი კინაღამ დავიხრჩვი, ამას ყურიც არ გაუპარტყუნებია და კიდევ საყვედურს ლაპარაკობს!?

— მაშ ეს თქვენ ბრძანდებით, ყმაწვილო, რომ ამ უთენიას მოდიხართ და ჩვენდა დაუკითხავად იხრჩობით? ახლავე წამობრძანდით კომისარიატში!—დაუყვირა დარაჯმა და ღონიერი მკლავებით მოზიდა. გაბოს წინააღმდეგობის თავი აღარ ჰქონდა და გაჰყვა.

მეორე დღეს გაზეთის ქრონიკაში ამოვიკითხე:

### „დახრჩობაც ამას ჰქვიან!“

„გუშინ, დილით მოლარე გაბომ თავი დაიხრჩო მტკვარში, მაგრამ სიკვდილს გადაარჩინა წყალში დახრჩობის საწინააღმდეგო სზ-ბის მორიგმა დარაჯმა. თავის დახრჩობის მიზეზი ფულის წაგება ყოფილა. კვლევა-ძიება სწარმოებს“.

გაიარა რამოდენიმე დღე და კიდევ ამოვიკითხე გაზეთში:

### „კიდევ ერთი გამფლანგველი“.

„სასამართლოში დაიწყო მოლარე გაბოს საქმე ბრალად ედება სახაზინო ფულის გაფლანგვა“.

ალლარ-ალლარსან.




გაგრილება

## „მოდა"-„ეკრეჟიმი"



ერთ-ერთი ნიმუში, თუ როგორ ტარ-დება მოქმირნეობა კერძო ცხოვრებაში.

## „ხეცდუნიზისა და გორო...



მიკიტნები: ოჰო! აქ ხე ამოსულა!... მოდი და გავხსნათ ამის ძირში რესტორანი-ბარი!?

# ჩოხატაური

ამ ბოლო დროს ჩვენს დაბაში
მოხდა დიდი გარდატეხა.
განდიდების მოტრფიალემ
ზოგმა ფეხი წაიტეხა.

აყვავების გზას დაადგა
პროფკავშირი: გახსნა კლუბი.
გიპნაზ-ის მოწაფეებს
გამოცდის დროს მოსდით ჩხუბი

ბაზრის უკან უსუფთაოდ
აღარ არის ერთი გოჯა.
აღმასკომის თანაშემწე
ისე დადის, როგორც ხოჯა.

სჩანს ქალაქი გაკეკლუცდა,
საეჭვოა: ჰყავდეს სწორი.
მოვაჭრეებს დუქნების წინ
სანაშენოთ მოჰყავთ ღორი.

ლექციები გაგვიხშირეს,
ყოველ ღამე არის კრება.
გოგიე თუ ივლიანე
ეპოს ჯავრით ნელა დნება.

პავლე შმაგი და ვალიკო
აღარ ვიცით რას უყურებს.
ყველას უკვირს: სხვა მეფურნე
უკეთესს რომ აცხობს პურებს.

ტრაქტორებიც დატრიალდა,
არ ვაწვალებთ ხარებს კავში.
კოსტანტინე „სპეცი კლუბის"
გადასახლდა ხიდის თავში.

გზები უკვე შევაკეთეთ;
ნეტა შენი თვალით ნახო.
მეეტლე ხუთ მანეთს ითხოვს
რომ განახოს საჯევახო.

რაღაც ძალამ ეტყობა რომ
ყველა გაგვიპირიანა:
აღარ ხტუნავს თავის რაშით
დღეს ბაზარში მირიანა

აბა გზები ბახმაროზე
რომ ვაკეთოთ რაღად გვინდა!
აქ მგზავრებით ცეპელინი
უკვე სამხელ გადაფრინდა.

ჩვენ ასე ვართ,-და კარგს იზამს
გვალვის ვილას ეშინია
მოსარწყავად მოვრთე ყანა.
თუ მოგვბაძავს სხვა ქვეყანა.

ოსმან-აღა.

# ვინ არის?

### ამაღლება, გურია

პალაგოთ ყოფნამ იგი
კიდევ უფრო გააფლიდა.
ქორს უზიდავს მას გოდრობით
ხან პეტრე და ხან კი ლიდა.

ფვალს მუდამ სხვებს აძევნებდა
თუ ვინ საით გაივლიდა.
(ალბად ეს რომ არ სცოდნოდა,—
კაცად არვინ არ ჩასთვლიდა).

ცბიერებით, ცუღლუტობით
ისარგებლა კიდეც პრესა.
ხვრელში ძვრება, იქიდან ჰკბენს
ხალხის ყველა მოკეთესა.

მაშ არა სთქვას ლილიპუტმა:
— ბიჭი ვარ და მხურავს ქუდი?!
ხოლო მაშინ დაატირეთ
თუ მოაძვრეს რიკზე კუდი.
თუ მოაძვრეს რიკზე კუდი.

ჯერჯერობით საქმე გააქვს
სისაძაგლის ბევრის ჩამდენს.
თუ კი შერჩა წინა ეშვი,—
ვინ იცის თუ შეჰკბენს რამდენს!

ქორიკანთა ბიურო აქვს,
ცნობებს აწვდის აგენტურა.
თავმჯდომარედ თვითონ არის
გაიძვერა, როგორც ტურა.

საეჭვოა რომ გავიდეს
უხიფათოდ ბოლოს ფონი,
და დაადგეს ყელზე ყველა
თვისი საქმე საგმირონი.

ბეჟან ხლუსტი.



ორი ტიკი მაქვს ახალი „მოდის"...
ორივე მიყვარს ვენაცვალები.
არაყის ნაცვლად ღვინო გამოდის,—
ასე დავუმსე ყველას თვალები.

ცხოვრებას ქაფი უნდა გაართვა
როგორც მექისე—მეაბანოე.
ჩემს სახელს გეტყვი (ხოლო არა სთქვა):
მე ვარ „სპირტისტი" მეისრე ნოე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მეცხრე ზვირთი“






**კურდღელას** (სოფ. ბუკის-ციხე, გურია). „მელქისეს“ ეკონომიური რეჟიმი გაუტარებია თავის ოჯახში, თუ კი თავის ორსულ ცოლს:

„ხელი ხტაცა თმაში... ჩაუმტვრია გვერდი...
ცხრა თვე აღარ აცალა... ცოლმა დაბადა ბაღანა“.

(ჯერ-ჯერობით ეყოს უფსკერო გოდორი).

**ლაქაშის** (სამტრედია). შე კაი კაცო, რაღას უსაყვედურებ ალმასკომს, რომელიც ბაღს არ ანათებს, თუ კი სიბნელე შეყვარებულებისათვის უმჯობესია. ჩვენი სურვილიც ეს არის, რომ ქვეყანა შეყვარებული იყოს; და თუ ამისათვის სიბნელე სჯობია,—მით უკეთესი ამ მომჭირნეობის რეჟიმის დროს (თუმცაღა უნდა ვსთქვათ, რომ **სიბნელე** ვერ შეჰქმნის სიყვარულსა).

**უტულიას** (საჭილაო) გლეხკომის **სასადილოს** თავმჯდომარე (თანამდებობაც საკვირველია) იალოოიაზე თქვენ იწერებით, რომ:

პატარას არ იჯერებდა,
არ არის ჩემი ჯერიო..
და ჩაგვაბარა ბოლო დროს
მან კედლები და ჭერიო.
გლეხკომის წევრებს გლეხკომით
მან ეტლი დაუქირავა,—
და გასამრჯელოდ მეეტლეს
გლეხკომი დაუგირავა.
მეეტლემ მისი წაიღო,—
არ წავიდა დათმობაზე,—
და გლეხკომის სასადილოც
შეიცვალა ჰაერკომად.

კიდევ უკეთესი: ეხლა ზაფხულია, სუფთა ჰაერია და უფრო მარგებელია, ვიდრე ვალოდიას სასადილო. ასე რომ: სასადილოს მაგიერ თუ კი ვალოდიას წყალობით ჰაერკომი (ე. ი. აგარაკი) დაარსდა, ვალოდია არ არის საყვედურის ღირსი.

**სამეულს** (კირცხი). არ გრცხვენიათ, რომ სამ კაცს ასე ცუდი წერილი დაგიწერიათ? მაგრამ, როგორც დატა აღნიშნავს, ეს წერილი შეგითხზავთ შუადღეს. ალბად, დიდი სიცხე იყო და თავში ვერ იყო მშვიდობიანობა.

**ქვეხკნელს** (ქარატის თემი, ზუგდიდის მაზრა). თქვენ გვწერთ, რომ:

„**პირადი ინტერესების გამო** თემალმასკომმა ჟუჟუნაშვილი მდივანს შეუდგინა ყალბი საქმე და მოათავსა პირველ დაწყებით სასწავლებელში, ე. ი. გამსახლში (მგონი, უმაღლესში თვითონ თავმჯდომარე წავიდეს)... ახალ მდივნად აიყვანა მექრთამე, რომელსაც საქმე ჰქონდა პროკურორთან“.

ყველაფერი ეს შესაძლებელია, მაგრამ უფრო ადვილი შესაძლებელია ისიც, რომ თქვენც სწორედ პირადი ინტერესი გამოგქმედებთ.

ხოლო, რაც შეეხება იმას, რომ:

მაყურებლებს ატყვილებენ სქელი ღომის ჭადითაო...
ერთი მდივანი გაამგზავრეს და წაუსვეს გარციცაო...
ახალი კი ქებულია ფლანგვითა და ქრთამითაო,
ამი დღისა მუშაობით იხურება სამ თვითაო...

თუ კი ასე, მთლად უმჯობესი იქნებოდა, რომ ასეთი თავმჯდომარე უვადო შვებულებაში გაგეშვათ.

**ცხვანტი** (იქიდანვე). ეს საშინელი ეპიდემია—ენის ქავილი,—რომელიც მოსდებია ინტელიგენციას, როგორც თქვენი წერილი ამტკიცებს, ყველაზე ძლიერად თქვენ მოგდებია.

როგორც თქვენი „ალმასკომის კაბინეტის გვერდით გაიხსნა სამრეცხაო“, ისევე ჩვენს გვერდითაც არის სამრეცხაო, სადაც ირეცხება თქვენი მსგავსები, თუმცა თქვენი წერილის გარეცხვიდან მაინც არაფერი გამოვიდა, ისეთი ჭუჭყიანი იყო იგი.

**კაი ბიჭს** (სუფსა). თუ ყველა საგნებში **ორების მიღება კაი ბიჭობაა**, მაშინ, ჭეშმარიტად, თქვენ **კაი ბიჭი** ყოფილხართ.

**საფიჩხიელს** (**ქუთაისი**). კარგია იოსკა ახობაძის მოთქმა:

ვნახე ცხვირი ბრუნდზე-ბრუნდი,—
დავაპირე გასწორება.
მაგრად მუშტი შემოვკარი,
ვით დელეგატს დაშვენდება.

ასეთივე ბედი ხვდა ჩვენგან თქვენს წერილსაც.

**ყვა-ყვას** (**ჩიბათი**). საკვირველება არის: ალმასკომს უსაყვედურებთ, რომ იგი ყურადღებას არ აქცევს გომახურის ღელეს, რომელიც

წვიმების დროს ეს მდინარე
ნაპირს ლახავს... ხოდა,
ამას წინედ გლეხკომიტეტი
დაუნგრია ოდა.
ცოტა ხანში ჩვენს შვიდწლედსაც
მიაყოლებს ზედა...

დაიცადეთ ცოტა და თვით ალმასკომსაც მიადგება და წაიღებს. ალბად, თვითონ ალმასკომმა თქვენზე უფრო კარგად იცის, რომ იგი წყალწასაღებია და ამიტომაც არ უწევს წინააღმდეგობას გომახურის ღელეს. რას ერჩით ამის შემდეგ.

# წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

ჟურნ. „ტარტაროზი“-ს № 52-ში მოთავსებულია წერილი ჩიბათიდან „წითელი მასკა“-ს ფსევდონიმით. გთხოვთ დამიდასტუროთ, რომ ეს წერილი მე არ მეკუთვნის.

**პ. ც. მიშა ვლ. პატარაია.**

**რედაქციისაგან:** ხსენებული წერილი არ ეკუთვნის მოქ. პატარაიას.

**„ტარტაროზი“.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიზეზი



— ქალი: აი, რომ ამბობენ, რომა ღმერთი არ არისო! ხომ ხედავთ სულ-წვიმებია? ეს ღვთის რისხვაა და იმიტომ წვიმს.

— კინტო: არა, დედიჯან... ეს იმიტომ არის, რომა ვაინა და ომის შემდეგ ცა არავის „შეუპაჩინკებია“ და რემონტი არ უქნიათ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტ. სტამბა, კამოს ქ. 68.